

ნახ. ჯ. ლაშვილი

ზოგიერთი უმადლესი სასწავლებლები
თედრებზე კადრების შერჩევა ნათეს
პრინციპით ხდება.

— გააფრთხილეთ ჩემი ქალიშვილი, სიდედრი, სიძე, ქვის
ცოლისძმა, რომ დღეს 5 საათზე კათედრის სხდომაა დანიშნული



ფ. 59

მიშენარე ქლის 8 ივნისს ქართულმა საბოტაჟოებრი-
თამა თართოდ აღნიშნა მესოჟანი მუცნიორის აკადემიოს
კორნელი უკლიძის დაბადების 80 წლისთავი. საიუბილეო
დღეებში კორნელი უკლიძის მშობლიური სოფლის ცოხანი-
რის კოლმუჟრნობამ იგი აირჩია კოლმუჟრნობის საპატიო
წევრად.

მუინვარის თეთრო მობილო,
კაცო ზასავით ნათელო,
ქართული სიბრძნის ტაძარში
კათეთრებულო ქართველო.

ოთხმოცი წლის ხარ, კოლწევრი,
უმიზნებ ბრიგადირობას,
თუ ძველებურად კათონი,
არ აგცილდებ კპირობა.

კომოჩენი კინემატო- გრაფიაში

სასიხარულო ამბავი მოხდა. ეკრანებზე გა-
მოვიდა თბილისის კინოსტუდია «ქართული
ფილმის» ახალი კინოკომედია — «წარსული
ზაფხული». ფილმის ღირსებაზე არაფერს ვი-
ტყვი. საერთოდ, წინდახედული კინოკრიტი-
კოსები თავიანთ რეცენზიებს, რომლებიც
ტყუბუბივით გვანან ერთმანეთს, ყოველთვის
ასე ამთავრებენ: აღნიშნული ნაკლოვანებები
ოდნავადაც ვერ ჩრდილავენ ფილმის მაღალ
ღირსებას და ახალი სურათის დამდგმელთა
დიდ მიღწევად, მათ უდიდეს შემოქმედებით
წარმატებად უნდა ჩაითვალოსო.

«წარსული ზაფხული» (კიდევ კარგი, რომ
წარსული ჰქვია და არა მომავალი) გარდა
იმისა, რომ მისმა ზოგიერთმა ადგილმა შეიძ-
ლება კიდევ გააცინოს კარგ ხასიათზე მყოფი
მაყურებელი, უმთავრესად იმითაა შესანიშნა-
ვი, რომ ის კინემატოგრაფიის ისტორიაში
პირველი ფილმია, რომელსაც არ ყავს სცენა-
რის ავტორი.

დღემდე კინომცოდნეობის სპეციალისტე-
ბი, რატომღაც, სულ იმას გაიძახოდნენ—სცე-
ნარი ფილმის საფუძველიაო. ალბათ, ამით
აიხსნება, რომ კინოსტუდიებთან სასცენარო
განყოფილებებიც კი არსებობენ, რომლებიც
კონსულტაციას უწევენ ავტორებს, როგორ
უნდა შეაკეთონ თავიანთი ნაცოდვილარი, რომ
ჰონორარი მიიღონ. მაგრამ ამჟამად სულ
სხვაგვარად ისმება საკითხი. «წარსული ზაფ-
ხულის» დამდგმელები ამტკიცებენ, რომ სუ-
რათის გადასაღებად სცენარი სულაც არ არის
საჭიროო.

ზოგიერთ ამხანაგს, რატომღაც, არ სჯერა,
რომ შეიძლება ფილმის გამოშვება უსცენა-
როდ: ისინი ანგარიშს არ უწევენ მომხდარ
ფაქტს და აცხადებენ: «წარსული ზაფხული»
კინოკომედიაა და, თუ სცენარის ავტორი არ
არის დასახელებული, ალბათ, დამდგმელთა
ხუმრობასთან გვაქვს საქმეო. შეიძლებაოდა კა-
ცი დათანხმებოდა ამ აზრს, რომ სხვა გარე-
მოება არ უშლიდეს ხელს. გაზეთებში დაბეჭ-
დილ განცხადებებში, აფიშებსა და პროგრა-
მებში დასახელებულია ფილმის დამდგმელი
რეჟისორები, ოპერატორი, მხატვარი, კომპო-
ზიტორი, სურათის დირექტორი და გრიმიო-
რიც კი. ამის შემდეგ განა შეიძლება იმაზე
ლაპარაკი, რომ სტუდიის მუშაკებმა მაინც-
დამაინც სცენარის ავტორი აირჩიეს ხუმრო-
ბის ობიექტად?

უნდა ვიფიქროთ, რომ საკითხი მალე გა-
მოირკვევა. თუ პირველმა ცდამ წარმატებით
ჩაიარა, თბილისის კინოსტუდია მალე გადა-
ვა უსცენარო ფილმების გამოშვებაზე, რაც
ისე დააჩქარებს სურათების წარმოებას, რომ
მაყურებლები ვერც კი აუგლენ მის ნახვას.
კინემატოგრაფიაში ამ ახალ აღმოჩენასთან
დაკავშირებით გული არ უნდა გაუტყდეთ იმ
ავტორებს, რომლებიც სცენარებზე მუშაობენ,
ბოლოსდაბოლოს, ისინი არაფერს კარგავენ,
სცენარის ნაცვლად რომანს—დაარქმევენ თა-
ვიანთ ნაწარმოებს და ისე დაბეჭდავენ.

პროფესორმა მირჩია აღმომეჩინა საქართველოში ჯერ არნახული ისტორიული ძეგლები.

სადილომომო შრომა

ავიკიდე გუდა-ნაზადი და გავემგზავრე, ფეხით შემოვიარე მთები, მინდვრები. ხეებმა და პიტალო კლდეებში ვეძებდი ისტორიულ ნანგრევებს. ბოლოს მივაგენი ქარელის კულტურის სახლის ისტორიულ ძეგლს, რომლის მშენებლობა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში დაუწყიათ.

— გაუმარჯოს სადილომომო შრომას. ვაშაა!

ზევრი ვეძებე მშენებლობის დაწყებისდროინდელი მოწმეები და, როგორც იქნა, წავაწყდი ერთ მოხუცს.

მასთან ერთად დავათვალიერე ქარელის კულტურის კერა. ლამაზმა ფასადმა ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა. მისმა სვეტებმა ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლები მომაგონა. რამდენიმე წელია რაც ამ კულტურის სახლის რეკონსტრუქცია დაუწყიათ და შარშან დაუმთავრებიათ. გორის № 3 სამშენებლო კანტორის უფროსმა ნასიძემ 7 თვეს ატარა მიღება-ჩაბარების აქტი, მაგრამ ქარელელები ჯიუტობდნენ:

— სახანძრო წყლის აუზი? ლამპიონები? საზაფხულო კინოს მშენებლობა?

20 წელია კულტურის სახლი შენდება, ახლა ყველაფერი ერთად

გინდათ გაკეთდეს? მოაწერეთ ხელი და პირობას გაძლევთ 10 წელში დავამთავროთ მშენებლობა. თუმცა, პო, იმ პირობით, თუ კულტურის სამინისტრო გადმოგვირიცხავს ფულს.

— სცენაზე რომ წვიმს? სწორედ ესაა ჩვენი ღირსება. ქარელის კულტურის სახლის სცენა ორიგინალურია. სპექტაკლში, სადაც წვიმაა საჭირო, სახურავიდან ბუნებრივად წამოვა.

— ვინ ისვრის ქვებს! რა თავხედობაა!

ეს კედლებიდან მოგლეჯილი გაჯის ნამსხვრევები იფხვნება მაყურებელთა თავებზე. სწრაფად დაგწვდი ისტორიულ ძეგლთა სამშენებლო მასალის ნამსხვრევებს, სადილომომო შრომისათვის დამჭირდება-მეთქი, გავიფიქრე და სხვა ნიშნებთან ერთად წამოვიღე, აგრეთვე, ამოყრილი ფილაქნის ერთი ფილი, რომელზედაც ფეხი წაიმტვრია მაყურებელმა.

პროფესორმა ასეთი შეფასება მისცა ჩემს ნამუშევარს: «დიდი შრომა ჩაუტარებია ჩვენს სტუდენტს. მან აღმოაჩინა 19... წელს ქარელში დაწყებული კულტურის სახლის მშენებლობა, რომელიც მაშინდელი თუ ახლანდელი კულტურის სამინისტროს მუშაკთა უთავბოლო მუშაობის ერთ-ერთი ნიმუშია. ეს შრომა ისტორიაში უნდა შევიდეს».

გ. ხეჩუაშვილი

საქართველოში საქმეები

(შაირები)

კადრებში ზოგი ნიქს ეძებს, ზოგი ნაცნობს და მისიანს, ზოგი ვაჭრულად აზროვნებს: ნალდი სჯობია ნისიას.



სოფლად წასვლის ეშინოდა, ვეტერინარს აციებდა და მოეწყო ზოოპარკში, ლომები ჰყავს პაციენტად!



ქირურგიაში სტუდენტიც თავს დიდ დასტაქარს ადარებს და საწარმოო პრაქტიკას ხორცკომბინატში ატარებს!



მემინდვრობა ასწავლეს, დიპლომიც მისცეს ფაციას, თბილისის საყვავილეში ამზადებს დისერტაციას!



ვექილმა ცრუ ლაპარაკით ვერ მოიხვეჭა დიდება, არტელში გამგედ მოეწყო, „ულაპარაკოდ“ მდიდრდება.



ბ. აბაიშვილი



ნახ. გ. ფირცხალავასი

არის შემთხვევები, როდესაც სასწრაფო დახმარების მანქანებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ.

სასწრაფო დახმარება სახიამოვნო ქეიფის უემდეგ.

ნიონგის გამოცანათა კრებული



გამოცანა № 1: თბილისში ვერის ბაზარში ორი დამგველი ანუ დეკორიტი მუშაობს. ერთი მათგანი დილიდან საღამომდე ფეხებში აყრის ნაგავს მყოფელებს, მეორე ცხვირ-პირში. ბაზრის დახურვის შემდეგ ერთი ნაგავის ცოცხით ხეგტს დახლს, მეორე კი სანაგვე ნიჩბით ფეხს დახლზე დაკრობილი მწვანის თუ ხილის ნარჩენებს.

გამოცანა გვეკითხება: ბაზრის დირექტორი და სანიტარული პრიგადის წევრები თუ ტკეპნ ამ დახლებზე დაწყოხობდნენ პროდუქტს? პასუხი: შე კიი კაცო, მართო ვერის ბაზარში ნახე ასეთი ამბავი?



გამოცანა № 2: თბილისიდან მოსკოვამდე ორი ათასზე მეტი კილომეტრია, ლენინგრადამდე კი უფრო მეტი. მოგვხსენებთ, საქართველოში თამბაქო არ იშვეება და ამიტომ პაპიროსი «ყაზბეგით» თბილისის მომარაგება უშუალოდ ლენინგრადიდან და მოსკოვიდან ხდება.

გამოცანა გვეკითხება: რატომ ირტუტსკიდან და მურმანსკიდან არ გვიგზავნიან თამბაქოს? პასუხი: ნიკოტინი ადამიანის მტერია.



გამოცანა № 3: თბილისის კოტონის წინდების საქსოვი კომბინატის მიერ გამოშვებული წინდის ფასი 21 მანეთსა და 41 მანეთს შორის იხრება. ამ წინდის 41 წყვილიდან 21 წყვილი სახლში მოტანამდე იხება.

გამოცანა გვეკითხება: რამდენი წყვილი წინდა უნდა იყოს ქალბა, რომ ერთი მაინც გამოადგეს და რამდენი უნდა ჰქონდეს ხელფასი ამ ქალის ქმარს?

პასუხი: ახლა ზაფხულია და უწინდოდ სიარული შეიძლება.



გამოცანა № 4: კიროვის სახელობის პარკში არის ამომწურავი აუზი, რომლის შუაგულში დგას დაახლოებით ორი მეტრი სიმაღლის (აუზის ღრმადან) რკინის მილი. მოტალაქეთა ერთი ნაწილი ამბობს, რომ ამ მილიდან წყალი უნდა ამოდიოდა, ხოლო საზოგადოების მეორე ნაწილი ირონიულად იღიმება.

გამოცანა გვეკითხება: სომ არაფერი ენება საწინააღმდეგო ბაღის ადმინისტრაციას, მოტალაქეებმა რომ თითო ჰქონდეს წყალი სახლიდან მიიტანონ და აუზი ააგონ?

პასუხი: ჯერ ის შარშანდელი მყარი წყალი ამოასხან, აუზში რომ არის, და შემდეგ ენახეთ.

ნახ. ნ. მაღაზინაძის

— რაშია საქმე, ჩვენს ლიტერატორს კახი-ნეტში სულ რომ მინავს?
— ამაოზს, სახლში, მთელ დამებებს უშლილ ვტარებ სამსახურზე ფეკრითო.



ნახ. ბ. ბერძენიშვილის



არცთუ ისე უნობი ხაზლია ვე მენერები და გამოგონებები, მაგრამ ახორბული რომ არაა, ამაზე ბევრი ჩიონი არ უნდა, ხან რას მოატყვობან, ხან რას.

შთა გაუღრავი არ დარჩათ, ზღვის ცხერზეც დაქარბებან, ერთი ცოცხა აღნიშვებ და ტოტყის ვაზლავი.

შერიანი არა ვარ და, მამსადავებ მათი წარმატება რომ მშობლეს, მათე კინტს არ დაქარბებ.

განყოფილის ვამეე ვაგადავარი, არც თუ ისე ზღუდისსკრავი კაცი, დიდ ხალხში ვურევიდარ და წერილებიბას ვებლძვანებლობ.

ბვერი საქმე არა მაქვს, მაგრამ, რაკა მაქვს, იმასაც ვე მოკლებინებს ერთი ხარკი მოადგილე შევას და მოხდვას ვერ ვასწავრებ, რომ მისი საქმე ვაკეთებულდი აქვს და თავისი მართალი ვითობათ, არც ესა მუშის, კაცი საქმის მოწერებულადი და შევერდი ღდის რძესებან, მე წინ დიკარ ვადავებობი? აკოოს, ვაქვეუ და, როცა მე დამპირებებენ, ერთ სიტყვას უთვლი შევამე!

უკაცუნეცო გამოგონება

მაგრამ ახლა არც შემიძლება წინდების საქმე მაინტერესებს და არც მინი. მყინდებზე და გამოგონებებზე სწონილად ვაგაზუბული სება რა გუხ მაქვს, უცქნობი ვიხებ დარისებან დასებულ ველს. რა მოხდა, აციო, რა ვაი-უშვედებულ შეუნა ავითი? ვაკეთონ კიდევ ერთი გამოგონება. სამსახური ორჯერ მისლა რატომ უნდა მიხედვოდეს? კაცი ორი უმაღლესი დამომთავრებია და ახლა, მინდა თუ არა, დღისს მ საათზე უნდა მივადე სამსახურში, ვადავებობი თუნუქის ნაჭერი, ცერეურობებზე ტაბულა, მერე წავიდე და ვივლი, ვიძრე ვეჭვი საათი ვაგადავებუს, მერე ისევ მივიღე და სამსახურში და ახლა ხელახლა ვადავებობი ივე თუნუქის ნაჭერი?

რა წინდაუტედაა? ვანა იმასთავს

მასწავლეს ჩემს მშობლებსა მივლი თქვენზე წინაწინა, რომ ტაბულის ვადავებებზე ვადავებებუბაში ვაგლი სოცხლას დენი? გამოგონებები ერთი სიტყვა ხელსაწყო, რომელი დღისს ცხრებზე ვადავებებუს ტყულის და ექვს საათზე ვადავებობრჩებს და დავაგადება წერილი, მოსიბობა ვადავებდავებებან და მეც ვადავებებ. ახა ჩა მისლა, უფუდელ ორჯერ რომ მიტანებდეს სამსახურში.

მეტი ჩა უთვლი, ამ შესაწონავ ვაგონების პატენტშიც არ შევადგები არავინ—უნაწილ ვეწერავ ვაგონებებს პოეტებს ჩემი ვადავებული ვინების ამ ღირსსაწვიარ წავუფი.

ახა, თქვენ იციო, გამოგონებებო, დეტრიალით. ერთი თქვენებურად ვაგარებუც ეს საქმე:



პროფესორი ივანე სიმონი

ერთ ვიწრო წრეში საუბარი ადამიანზე ჩაწვიდა.

— ადამიანი, — დაიწყო მიკროლოგი, — ბუნებაში ყველაფერზე გვიანტია, იგი ძლიერია, მისი დამორჩილება არავის არ შეუძლია.

— არ ვეთანხმებით, — შეწყვეტინა სიტყვა ასტრონომმა, — ადამიანი ეს ყველაფერზე პატარა, ან, უფრო სწორედ, ბუნების უმცირესი ნაწილია.

— ვმ თქვენ მიკროსკოპში არ ჩაგვიდავით! — შეეკამათა მიკროლოგი, — ამა ერთხელ მაინც დაინტერესდით, დააკვირდით უჩინარ და უხილავ არსებებს და იმწამდე სიამაყით აღივსებით, თქვენ თავს ბუნებრივად იგონებთ.

— მათგით, მაგრამ თქვენ, როგორც გეტყობათ, არასოდეს ვაგებდითა ტელესკოპით, — კვლავ დაიწყო ასტრონომმა, — დაახლოებით რომ წარმოადგინოთ ციური სხეულების სიდიდე, მერეწუნეთ, აღიარებთ, რომ ადამიანი ნამცეცეც არაა ბუნებაში.


კამათი წვევად ხასხასის მიიღებდა, რომ საუბარში სოლიდური ვაგებნობის კაცი არ ჩარეულიყო და ნათელი არ მოეფინა საციობისათვის.

— აქ საკამათო არაფერია, თქვენ მან, — ერთი ზომის სავანი და მოვლენა დიდიცაა და პატარა, საქმე ისაა, როგორ ან რა თვლით შეტყობ. პირად მე, — ვაგაგრო მან, — ჩემი სასახურებრივი მოვლობის ახსრულობის დროს იმშენიდა პატარა რომ ტელესკოპით შევიანწიო, ხოლო, თუ სკივარი, უნდა მანამ — მიკროსკოპში უხილავად ექცეოთ.

ეს უკანასკნელი ვაგადავებო რევიზორი.

მივილიობის ელემენტები

— არ ვატყვებინა, ახე ვეანამ მოვდახარ
— ქალო, დღისს ექვსი საათია და ამაზე ადრე როგორად მოვიდეთ?
4



სიჭყვავილე

მწერალმა კრიტიკოსს თავისი წიგნი უსახსოვრა. ეს იმას ნიშნავდა — რეცენზია დამიწერო, ისიც გასაგებია, რომ შიგ ქებათაქება უნდა ყოფილიყო. აქეთ აბრუნა წიგნი კრიტიკოსმა, იქით აბრუნა, თავი უკმაყოფილოდ ჩაიქნია. ამოიოხრა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა? — აჩუქა ქება.

ეგონა გადავრჩიო მაგრამ კვლავ მოადგა მწერალი.

— აბა შენ იცი, ამაღამ კავშირში კრებაა და შენი სიტყვა კანონი იქნებაო.

ესეც აუსრულა. კრიტიკოსი ერთხელაც თავისთვის შინაურებში იჯდა და...

— რომანი კი არა, ოქმია, რამ დააწერინა ასეთი სისულელე? მის გამომცემელს რა ვუთხარიო.

მწერალს იმ ღამესვე ჩაუკაკლა ვილაცამ ეს ამბავი და ისიც მეორე დღეს უთენია მოადგა კრიტიკოსს. ხელში გაზეთი და კავშირის კრებაზე კრიტიკოსის მიერ წარმოთქმული სიტყვის სტენოგრამა ეჭირა.

— კაცი ხარ ახლა შენ? შენი სიტყვა სიტყვაა? როგორ უნდა გიწამო ამის მერე? — ყვიროდა ის და ცხვირწინ ქალღმერთს უფრიალებდა.

— დამაცა კაცო, ჩემს ოჯახშიაც არ გინდა სიმართლე მათქმევინო? — აყვირდა კრიტიკოსი და დასწყევლა თავისი პროფესია.

გულიადა

ნაკვესები

ქირურგმა წაიტრაბახა — ავადმყოფზე კევიანი ვარ, შეცდომებზე მე ვსწავლობ და ის ვერაო.

საწყობის გამგეს ჰკითხეს — როგორ მოღვაწეობ შენს საქმიანობაში, და — გატაცებითაო.

ქალი რაც არ უნდა ზრდილობიანი იყვეს, წლოვანება მაინც უზრდელი აქვსო.

ღვინომ თქვა — ამ ხალხისა ვერაფერი გამიგია, ჯერ გამაფუჭებენ და მერე გაკეთებულს მეძახიანო.

თენგიზმა ნანას მშობლებს თავისი სურვილი რომ ვერ გაუბედა, თვალები დახუჭა და „ნანა მინდაო“.

ცოლმა შესჩივლა ქმარს — ფეხსაცმლის ენა დაეკარგე, და — ნეტავ საკუთარი დაგეკარგაო.

შეადგინა ვ. ჯავრიშვილმა



საქმისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ თანამდებობის მიხედვით, მაინც გამგეს ეძახდნენ.


დაწესებულებაში საათი არ მუშაობდა, ღირებუტორი კი ტრაბახობდა, საათივით ვმუშაობო.

გამყიდველს წყალი მუდამ თბილი ჰქონდა, მომხმარებლებს კი ცივად ხვდებოდა.

ქმარი მაცივარს ვერ შოულობდა, ცოლი კი ცხელ დღეს აყენებდა.


შეადგინა ნ. ირემაძემ

თბილისის მშენებლობებზე ჯერ კიდევ არადაამაკმაყოფილებელია სამშენებლო-სამონტაჟო და მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ხარისხი.



ნახ. დონისა

— მშენებლებს გვიმადლოდნენ, რომ სახლი არ მოგვიპირკეთებია, თორემ, სარეცხს სადღა გაჭფენენ!



— გამარჯობა შენი, კაცო. ძლივს არ მოგაგენი, — უთენია შეეგება სამსახურში მიმავალ სიმონას სახეგაბადრული კაცი. — ხომ აქ ცხოვრობ, ჩემო... — სიმონა, ბატონო.

— ჰო, ჩემო სიმონ. ვერ მიცანი, ბიჭო? არა გრცხვენია? მე თქვენი ოჯახის მოყვარე ვარ, ივანე, ზემო სოფლიდან. ქალაქში შენს მეტი ვინა მყავს. არ გახსოვს, ამ ხუთი წლის წინათ ქალის საკოსტუმე რომ მიშოვე? მაშინ სამაგიერო პატივი ვერ გეცი... — კი... მაგონდება...

— ჰოდა, ახლა გასტრონომში დაგიწყია მუშაობა... შაქარი მინდოდა.

— შაქარი არის.

— შენს პირს შაქარი. ხომ გამომიტან, ჩემო სიმონა?

— იყიდეთ მაღაზიაში, რამდენიც გნებავთ.

— აჰ, მაგდენს ერთბაშად ვინ მომცემს. ხომ იცი, ვენახი ცოტა მაქვს, ღვინო ბევრი უნდა დავაყენო.

— ვერ დაგეხმარები. გასტრონომში აღარ ვმუშაობ. ახლა ფეხსაცმელების კალაპოტების სახელოსნოში მოვეწყვე.

— რა გითხრა მე შენ... კალაპოტი რად მინდა... კარგად იყავი, ჩემო სიმონ!

— კარგად ვნახეთ, ბატონო. ერთი კვირის შემდეგ ივანემ ისევ მოაკითხა სიმონას.

— ცოცხალ კაცს კალაპოტიც დასჭირდება თურმე, სიმონ ჩემო, ჩემმა მეზობელმა ბავშვის ფეხსაცმელების შეკვეთა მისცა და კალაპოტები მოთხოვეს, უნდა მიშოვო.

— იქ უკვე აღარ ვმუშაობ, ბატონო ივანე. ახლა კუბოებს ვაკეთებ.

— შენ დღილუპე... კუბო რად მინდა? მაგრამ თვეც არ გასულა, რომ ივანე კუბოსათვის მიადგა სიმონას.

— ცოლის ნათესავი მომიკვდა, ჩემო სიმონ, ხედავ, კუბოც დამჭირდა. აბა შენ იცი, ახლა მაინც არ გამაწიბოლო.

— სწორედ გუშინ მომხსენეს, ბატონო ივანე. ჯერ არსად არ ვმუშაობ. ისე ჩემი პროტექცია რად გინდათ, მაღაზიაში იყიდეთ.

— ასეთი უნდა, ბიჭო, ახლომოყვარე?

— რა ვქნა, ბატონო, მომხსენეს, თორემ თქვენისთანა მოყვარეს ერთს კი არა, ათ კუბოს ერთად გამოვუტანდი.

ეს უთხრა სიმონამ და სწრაფად გაემართა გასტრონომისაკენ, რომ სამსახურში არ დაგვიანებოდა.

ა. ბასილაია


პ ი ბ ი ე ნ ა

მედიცინაში არსებობს ერთი აქსიომა— პიგიენა ჯანმრთელობის უეჭველი პირობაა. ეს აზრი იმდენად ფეხმოკიდებულია ხალხში, რომ მედიცინაში ფეხმოუკიდებელი ადამიანებიც ორივე ხელით ებლაუჭებიან ამ ჭეშმარიტებას. რა თქმა უნდა, ამ აზრს გაიზიარებენ ლენინის ქუჩის მეორე შესახვევის მცხოვრებლებიც, მით უმეტეს, რომ აქვე, სულ ახლოს, მდებარეობს პიგიენის კერები—აბანო და სამრეცხაო (აქვეა პურის ქარხნის საკვამლე მიღებიც). აქაური მოზინადრეები კი მაინც ჩივიან და ჩივიან, ზაფხულის პაპანაქებაში ფანჯრები ვერ გაგვიღია, ჭვარტლი და ბოლი შემოდის ოთახებში, სისუფთავე ვერ დაგვიცავსო, იმასაც კი ამბობენ, რომ ჩვენს ქუჩაზე მეფოვე არ არისო და ჩვენ თვითონ ვგვით ქუჩასაო. აბა ასეთ წერილმანებზე ლაპარაკი შეიძლება?

რა მოხდა ბოლოს და ბოლოს? გავა რამდენიმე წელი, დადგამენ ჭვარტლსაჭერ მოწყობილობას აბანოსა და პურის ქარხნის მიღების საწინააღმდეგოდ, გავა კიდევ რამდენიმე წელი, აამაღლებენ საკვამლე მიღებს და მოზინადრეები თავისუფლად ამოისუნთქავენ და ჩაისუნთქავენ სუფთა ჰაერს. მერე გავა კიდევ რამდენიმე წელი და ამ ქუჩაზე შტატით გაფორმდება მეფოვე, დამყარდება სისუფთავე, სისუფთავე კი ჯანმრთელობის საწინდარია.

ასე რომ, სულ რაღაც ათიოდე—თხუთმეტოდე წლის მოთმინება და ყველაფერი რიგზე იქნება. მანამდის კი დაიმშვიდონ თავი ანდაზით: ვინც მოითმენს, მოიგებსო.

გაპვარტლული



საპირიოა ვერტმფრენი

ამ რამდენიმე დღის წინ გზათა მშენებლობის მოწინავეთა თათბირზე წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულა ლამისყანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სანდრო ცუცუნაშვილი. წასვლა მისი დაკავშირებულია დიდ ფათურაკთან, რადგან ლამისყანიდან ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით ოთხი გზა მიდის და ოთხივე ისეთ ცოდვასა და უბედურებასთან არის დაკავშირებული, რომ ჩვენებურ კოლმეურნეებს მგზავრობის იშტა აქვთ წამხდარი. ასე, მაგალითად, იგოეთით გამგზავრებულმა ორმოცზე გადასაფრენად ვერტმფრენი უნდა იქონოსო, ოძისის გზით მიმავალმა—ნავტიკი, ოკამის მიმართულებით—ხუთუღელა კამეჩი, ხოლო ლენინგორის მიმართულებით—გულის მოსაბრუნებელი წამალი.

თავმჯდომარეს წასვლის შემდეგ წვიმებმა მოუხშირა და ლამისყანაში მისასვლელი გზები კიდევ უფრო გააუბედურა.

ძალიან გთხოვთ, ძვირფასო ნიანგო, დაუკავშირდეთ კასპში ჩვენ თავმჯდომარეს და უთხრათ, რომ ლამისყანაში ჩამოსასვლელად ახლა ვერტმფრენია საჭირო და ამიტომაც გამოფრენის დრო შეგვტყობინოს, რომ გარეთ გამოვიდეთ და ჩამოფრენის დროს მივეშველოთ.

3. ლამისყანელი

— მაშ ახე, სერ, ხვალ დილითვე თქვენს გაზეთში გამოაქვეყნეთ — „პირველად ამერიკელებმა მიაღწიეს მთვარეს“.

ეს მოხდა ერთ მზიან, მაგრამ ჩემთვის შავბნელ დღეს... მდუმარედ შევედი სასადილოში და ჩვეულებისამებრ კუთხეში მივჯექი... მშოიდა... მშოიდა, რომ იტყვიან, მგელივით... მარჯვნივ და მარცხნივ მწყერებივით დაგოგმანობდნენ თეთრხალათიანი ოფიციატები... მაგრამ მე აინუშიც არავინ მაკდებდა.

კუჭმა ისე შემაწუხა, რომ ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე გადავინაცვლე, ოფიციატებს თვალში ვეჩხირებოდი, მაგრამ, თქვენც არ მომიკედეთ; ვლელავდი, ადგილზე ვცქმუტავდი, ავტოკალამს საფერფლეზე ვარახუნებდი, მაგრამ ამაოდ... მე უკვე კარგად მიცნობდნენ, რა შვილიც ვიყავი... აკი არ ვსვამდი.

ველარ მოვითმინე და ვიყვირე:

— ერთი ბოთლი არაყი... უკანასკნელი სიტყვა არა მქონდა დამთავრებული, რომ სამი ოფიციატი ერთდროულად მოიჭრა... შეუკვეთლად მოიტანეს ყველი, მწნილი, ჯონჯოლი, მწვანილი, საწებელი და ვინ მოსთვლის კიდევ რა...

არაყისაგან თავი ისე დამიძიმდა, ისე ამტიკვდა, მეგონა

ალასი აივაზიანი მოქმედ ქვეყნის

ოფიციატები თავში უროს მირახუნებენ-მეთქი... ამ დღიდან ჩემი სტუმართმოყვარე ოფიციატების სასურველი სტუმარი გავხდი. თვალისჩინივით მიფრთხილდებოდნენ დამჯდარი, რომ ჩემი სუფრა იშლებოდა.

და ჯერ სკამზე არ ვიყავი

— გენაცვალე სულში, რა მოგართვათ, ხუთვარსკვლავიანი თუ ჭაჭა?... ასეთ ქათინაურის შემდეგ მოდი და «ბორჯომი» მოითხოვე... ვბრაზდები ჩემზე, გამყიდველზე, არაყზე, ღვინოზე, მათ მომგონსა და მომყვანზე, და უცნაური ხმით ვყვირი:

— ორასი გრამი ჭაჭა დამისხი!

ასე დავიწყე ლოთობა...

მაღე ერთი ახალი თვისებაც აღმომაჩნდა: თუ არქიმედი საყრდენ წერტილს ეძებდა, რომ ქვეყანა გადაეტრიალებინა, მე ასეთი წერტილი მოვძებნე: დავლევდი თუ არა ნახევარ ლიტრა ჭაჭას, მთელ სასადილოს თავდაყირა ვაყენებდი.

ამრიგად, თითქმის დავეწიე და გავუსწარი ბევრ ალკოპოლისტს.

ახლა იგივე ოფიციატები ჩემს დანახვაზე თავს გააქნევენ ხოლმე და ყალბი სიბრალულით ამბობენ:

დამჯდარი, რომ ჩემი სუფრა იშლებოდა.

— ორასი გრამი ჭაჭა დამისხი!

ამრიგად, თითქმის დავეწიე და გავუსწარი ბევრ ალკოპოლისტს.

— გეყოფა ამდენი ლოთობა, ოჯახის პატრონი ხარ... ცოდო ხარ...

თარგმანი აჩილ დავითიანისა

რედაქტორი—ნიკო შველიძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, ხაერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 14. ხელმოწ. დასაბ. 3/VII-1959 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატის „ნიანგის“ ტიპოგრაფიაში. ლენინის ქ. 14. ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. შეჯ. № 842 ეუ. 03212. ტირ. 40.000.

